საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაშიძე დევი კონსტანტინეს ძე



დ. აბაშიძე

აბაშიძე დევი კონსტანტინეს ძე (1. V. 1924, სოფ. ისლარი, ხარაგაულის მუნიციპ., – 4. VIII. 2005, თბილისი), რეჟისორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980). დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1953). 1953–56 ქუთ. დრამ. თეატრის დამდგმელი რეჟისორი და დასის გამგე იყო. დადგა კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“ და „მკაცრი ქალიშვილები“, პ. ჯაკომეტის „დამნაშავის ოჯახი“, დ. გორგაძის „ნაცნობი სახეები“ და სხვ. 1957-იდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორია. როგორც დამდგმელ რეჟისორს, გადაღებული აქვს ფილმები: „დიდოსტატის მარჯვენა“ (1969, ვ. ტაბლიაშვილთან ერთად), „ჩაძირული ქალაქის მაძიებელნი“ (1972), „ყვარყვარე“ (1978), „გამოაღეთ ფანჯრები“ (1980), „ყველა კომეტა როდი ქრება“ (1982), „ომი ყველასათვის ომია“ (1990), „წითელი პატეფონი“ (1995) და სხვ.

ა. გვენცაძე